



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 1018

18 12 2015წ.

ქ. თბილისი

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანებით დამტკიცებულ „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში“ და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპზე ცენტრის დირექტორი ქმნის შესაბამის კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს ექსპერტობის კანდიდატთა შერჩევას.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ.

დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი



თამარ ზაალიშვილი


შემსრულებელი:

სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი


თარიღი: /18.12.15/  /ქეთევან ჭუჭულაშვილი/

შეთანხმებულია:

სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /19.12.15/  /ანა ბუჭუკური/

იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

თარიღი: /18.12.15/  /ნინო ბეგიაშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: /18.12.15/  /ლაშა მარგიშვილი/

ხელმოწერის თარიღი : /18.12.2015/